



საჩუქრებელად წერილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი
რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო
ორგანიზაციების ხელმძღვანელობას**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი
(კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს
ბატონ **ზურაბ მებონიას**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსს
ბატონ **ოთარ გარმელიას**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ **ლევან თევზაიას**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის მინისტრს
ქალბატონ **ნანა გაბელიას**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ **ლევან ჩაკვეტაძეს**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
იმულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრს
ბატონ **დავით ფაცაციას**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
საკითხებში სახელმწიფო მინისტრს
ბატონ **გიორგი გაბედავას**
ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს
ბატონ **მევლუდ ჯაჭვლიანს**

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა „არისში“ (<https://aris.sao.ge/>).

პატივისცემით,

ნოე ქაშიბაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	4
2. შიდა კონტროლის სისტემა	8
3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	9
4. აუდიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხები	17
5. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხი	17
6. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა...	17
საკონტაქტო ინფორმაცია.....	18

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის ა/რ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

აფხაზეთის მთავრობა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აფხაზეთის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

ანსამბლი „აფხაზეთი“ – სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“.

განათლების სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო.

თეატრი „თეთრი ტალღა“ – სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო დრამატული თეატრი „თეთრი ტალღა“.

იუსტიციის მინისტრის აპარატი – იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

კულტურის სააგენტო – სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო.

სოხუმის დრამატული თეატრი – სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის – ა(ა)იპ – საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის.

უმაღლესი საბჭო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ფინანსთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ჯანდაცვის სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1. რეკომენდაციები

1.1 არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიზნება

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შემოწმებით გამოვლინდა, რომ რიგი¹ ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში, ასევე აფხაზეთის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არ იყო აღრიცხვაში ასახული შესაბამისი ინფორმაცია,² კერძოდ:

უმაღლესი საბჭო

აუდიტის პერიოდში საინვენტარო აღწერისას ზედმეტობით დაფიქსირებულია ნივთები როგორც ინვენტარის, ავეჯის და ტექნიკის სახით, ასევე 3,07 ათასი ლირებულების ისეთი ინვენტარი, რომლებიც თავისი დანიშნულებით მიეკუთვნება აქტივს. ორგანიზაციის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, რომლებიც ფიზიკური პირების მიერ საჩუქრის სახით იქნა გადმოცემული სხვადასხვა წლებში.

იუსტიციის მინისტრის აპარატი

აუდიტის პერიოდში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 30 დასახელების 127 ერთეული აქტივის ზედმეტობა,³ რომელიც ფაქტობრივად სამინისტროს აპარატის მიერ იყო გამოყენებული და ბუღალტრულად არ იყო აღრიცხული როგორც აქტივი.

განათლების სამინისტრო

ინვენტარიზაციის პროცესში აღმოჩნდა, რომ განათლების სამინისტროს⁴ 2023 წლის თებერვლიდან მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი⁵ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც ბუღალტრულად არ იყო აღრიცხული.

მიზეზი

ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესში სათანადო კონტროლის ნაკლოვანება, აქტივების აღრიცხვაში კონტროლის მექანიზმების სისუსტე.

გავლენა

არაზუსტად, არასრულად არის წარდგენილი არაფინანსური აქტივები როგორც უმაღლესი საბჭოს და იუსტიციის მინისტრის აპარატის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ასევე აფხაზეთის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

განათლების სამინისტროში ფიქსირდება უძრავი ქონების აღრიცხვის ნაკლოვანებები და იქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების არასრულად ასახვის რისკები.

¹ 2 (ორი) ორგანიზაცია.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ის) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის, პირველი, მე-3 და მე-8 პუნქტები.

³ 29-მცირეფასიანი და 1 ძირითადი საშუალება.

⁴ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით.

⁵ ქალაქ ზუგდიდში, გორის ქუჩა N4-ში მდებარე 6816 კვ.მ ფართი.

რეკომენდაცია N1

განხორციელდეს აღურიცხველი აქტივების ღირებულების დადგენა და მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით შესაბამის საბუღალტრო ანგარიშზე ასახვა, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგებაში აქტივების სისრულეს.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

უმაღლესი საბჭო;

იუსტიციის მინისტრის აპარატი;

განათლების სამინისტრო.

აუდიტის მიგნება

საინვენტარო აღწერებისას გამოვლინდა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის სამინისტროების (საბიუჯეტო დაწესებულებების) ფაქტობრივად დაკავებული საოფისე ფართების ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები საბალანსო (ნარჩენი) ღირებულებები, ორგანიზაციების მიერ უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღების შემდგომ არ იყო შეფასებული რეალური ღირებულებით და შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ-ის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები ძირითადი აქტივების ღირებულება შემცირებულია და შემდგომში საჭიროებს რეალური ღირებულებით შეფასებას.⁶

მიზეზი

ქონების აღრიცხვაში არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა.

გავლენა

ორგანიზაციებში უძრავი ქონების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით ასახვის რისკები.

რეკომენდაცია N2

მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების რეალური ღირებულება და უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

უმაღლესი საბჭო;

მთავრობის აპარატი;

ჯანდაცვის სამინისტრო;

განათლების სამინისტრო;

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო;

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ მე-11 მუხლი; სსბასს 17, პუნქტი 44.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
იუსტიციის მინისტრის აპარატი.

აუდიტის მიგნება	იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო სამინისტროს მიერ სულ 2022 წელს გახარჯულ იქნა 101.7 ათასი ლარის ღირებულების 30 860 ლიტრი საწვავი; აქედან, ტერიტორიული ორგანოების მიერ მივლინების გარეშე⁷ გახარჯულია 10,4 ათასი ლარის ღირებულების 3 126 ლიტრი საწვავი.
მიზეზი	სამინისტროში არსებული კონტროლის მექანიზმების არასაკმარისი ქმედითუნარიანობა.
გავლენა	საწვავის საფუძვლის გარეშე ხარჯვა.
რეკომენდაცია N3	შემუშავდეს ისეთი ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს საწვავის ხარჯვას შესაბამისი საფუძვლის გარეშე.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო.

⁷ „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

2. შიდა კონტროლის სისტემა

2.1 მასშტაბის შეზღუდვა

შიდა კონტროლის სისტემა

განათლების სამინისტროს მიერ 2022 წელს ხორციელდებოდა „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა“ (06 09), რომლის ფარგლებში გაიხარჯა 418,7 ათასი ლარი. ბენეფიციარების (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამგეები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების დირექტორები, პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი) უზრუნველყოფა წარმოებდა ყოველთვიური/ყოველკვარტალური ფინანსური დახმარებით, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო პროგრამით. ბენეფიციართა სია განისაზღვრებოდა განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ბენეფიციართა სიაში ან/და გასაცემი სახსრების ოდენობაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდებოდა ასევე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წერილობით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ვინაიდან პოლიტიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელია გალის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების ფიზიკური შემოწმება და შესაბამისად, ამ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის ნამდვილობის დადასტურება, ხოლო სამინისტრო ბენეფიციართა დახმარებას ახორციელებდა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (რომლის შემდგომ შესწავლასა და გადამოწმებას სამინისტრო ვერ ახერხებდა), შესაძლოა არსებობდეს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად გამოყენების რისკები. შესაბამისად, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ იქნა მოპოვებული რწმუნება⁸ აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემული ფინანსური დახმარების მიზნობრიობისა და სისწორის თაობაზე.

ვინაიდან განათლების სამინისტროს მხრიდან არ არის შემუშავებული კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის ბენეფიციარების იდენტიფიცირებასა და გაცემული თანხების ფაქტობრივად დადასტურებას, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გახარჯვის რისკები.

აღნიშნული საკითხი განხილული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის დროსაც და გაიცა სათანადო რეკომენდაციები, რაც არ შესრულებულა.

⁸ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს თავი 4.4.3.

3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

3.1 კონსოლიდაციის პროცესში ელიმინირება

აუდიტის მიგნება

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2022 წლის ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის, მათ შორის, შიდა კონსოლიდირებადი ერთეულების კონსოლიდაციის პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:^{9,10,11}

ფინანსთა სამინისტრო

- ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში არ არის ელიმინირებული 2,1 ათასი ლარის გრანტები, რომელიც წარმოადგენს მთავრობის აპარატის მიერ სსიპ – აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის გადაცემულ აქტივს. შესაბამისად, ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში მუხლები: „004 შემოსავლები გრანტებით“ და „015 გრანტები“ 2,1 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
- სამინისტროს მიერ არ არის განხორციელებული 20,2 ათასი ლარის გრანტების ელიმინირება, მიუხედავად იმისა, რომ გრანტების გადაცემა განხორციელდა კონსოლიდირებად ორგანიზაციებს¹² შორის.

ფინანსთა სამინისტროს მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 20,2 ათასი ლარით არასწორად გაზრდილადაა წარმოდგენილი როგორც გრანტის სახით ხარჯების, ასევე გრანტის სახით მიღებული შემოსავლების მუხლები.

განათლების სამინისტრო

კონსოლიდაციის პროცესში გამოვლინდა ელიმინირების არარსებობის შემთხვევები. კერძოდ, კულტურის სააგენტომ ფულადი გრანტის სახით გადასცა:

- თეატრ „თეთრი ტალღას“ – 7,9 ათასი ლარი;
- ანსამბლ „აფხაზეთს“ – 3,0 ათასი ლარი;
- სოხუმის დრამატულ თეატრს – 3,3 ათასი ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირდა მაკონსოლიდირებელ ორგანიზაციებს შორის გრანტის სახის ფულადი სახსრების გადაცემა, სამინისტროს მიერ არ მომხდარა ჯამში 14,2 ათასი ლარის ელიმინირება და 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლები: როგორც „გრანტები შემოსავლებით“, ასევე „გრანტები ხარჯებით“ ასახულია 14,2 ათასი ლარით გაზრდილი თანხით.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 2, პირველი და მე-2 პუნქტები.

¹⁰ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N01/69 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგების წესი“, მუხლი 6, პირველი და მე-2 პუნქტები.

¹¹ სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

¹² ფინანსთა სამინისტროს აპარატის და სსიპ – ეკონომიკური პროგრამების სააგენტო.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ფინანსთა სამინისტრო;
განათლების სამინისტრო.

3.2 მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მუხლი: 1-11-0000 „ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები“ 11,9 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს განათლების სამინისტროს ნაშთს სახაზინო ანგარიშზე და სამინისტრომ თავის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა ასახა 1-13-0000 „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლზე, ხოლო კონსოლიდაციის პროცესში ამ მუხლიდან 11,9 ათასი ლარი გადატანილ იქნა „ფულადი სახსრების“ მუხლზე.¹³

ფინანსთა სამინისტრო

ფინანსთა სამინისტროსა და სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს შორის გაფორმებული პირობიანი საგრანტო მცირე ხელშეკრულების მიხედვით,¹⁴ რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხა¹⁵ 21,3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა 2022 წელს არ გახარჯულა და ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების „მოთხოვნების“ (ხაზინის მიმართ) (1-13-000) და შესაბამისად „ვალდებულებების“ (სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიმართ (2-15-0000) ნაშთებში არ ასახულა.¹⁶

განათლების სამინისტრო

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, განათლების სამინისტროს პირობიანი გრანტის სახით გამოეყო ფულადი დახმარება¹⁷ და რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხა¹⁸ 42,4 ათასი ლარი. აქედან, სამინისტროს დაფინანსების სახით გამოყოფილი თანხიდან 12,2 ათასი ლარი გაიხარჯა „ონლაინ საკვირაო სკოლის“ პროგრამის¹⁹ ფარგლებში. სამინისტრომ გახარჯული 12,2 ათასი ლარი ასახა ფინანსური ანგარიშგების მხოლოდ განმარტებით შენიშვნებში, ხოლო 30,2 ათასი ლარი განათლების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მოთხოვნების“ (ხაზინის მიმართ) (1-13-000) და შესაბამისად, „ვალდებულებების“ (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ) (2-15-0000) ნაშთებში არ ასახულა. აქედან გამომდინარე,

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁴ 2022 წლის 21 ივნისის ხელშეკრულება No, SAMRS/2022/SG01/GE.

¹⁵ 2022 წლის 6 ივლისის საგადახდო დავალება N5340.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის 44-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-10 და მე-11 პუნქტების მოთხოვნები, რომელთა შესაბამისად, უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლების განკუთვნილია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, შესაბამისად, აისახება 4-31-1100, 4-31-1200 და 4-31-2100, 4-31-2200 ანგარიშებზე.

¹⁷ 2022 წლის 29 აგვისტოს გრანტის დოკუმენტი (უნომრო).

¹⁸ 2022 წლის 26 სექტემბრის საგადახდო დავალება N879.

¹⁹ პროგრამა 06 04 20.

მიღებული გრანტები სამინისტროების ფინანსურ ანგარიშგებებში არ იქნა ასახული.²⁰

შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც „მოთხოვნები“, ასევე „ვალდებულებების“ ნაშთებში ასახულია მანუალურად 12,2 ათასი ლარით ზედმეტი.²¹

აფხაზეთის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წელს ჩატარებული შემოწმებისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველზე²² აღიძრა საქმე სსიპ – აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოთის პოლიკლინიკის“ ბუღალტრის წინააღმდეგ²³ და მას წარედგინა ბრალდება 85,6 ათასი ლარის მითვისების მუხლით. ყოფილი ბუღალტრისა და მისი დეოკატის წერილით,²⁴ ბრალდებული სრულად აღიარებდა ბრალდებას და აცხადებდა თანხმობას მიყენებული ზიანის სრულად გადახდაზე გარკვეული პირობით.²⁵ ბრალდებულის მიერ 2022 წლის 7 სექტემბერს²⁶ სახელმწიფო ხაზინაში ჩარიცხულ იქნა 50,0 ათასი ლარი, რაც აისახა შემოსავლების ნაწილში „სანქცია/საურავები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ მუხლში, თუმცა დარჩენილი თანხა – 35,6 ათასი ლარი, ფინანსური ანგარიშგების „მოთხოვნების“ მუხლში არ ასახულა.

შესაბამისად, ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნების“ მუხლი 35,6 ათასი ლარით არის შემცირებული.²⁷

ფინანსთა სამინისტრო.

განათლების და კულტურის სამინისტრო

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

3.3 წმინდა აქტივები /კაპიტალი

აუდიტის მიგნება

ფინანსთა სამინისტრო

ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების ფორმაში შეცდომითაა წარმოდგენილი: მუხლი „003 წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება“ – 351,9 ათასი ლარით და მუხლი „004 კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად“ – 874,3 ათასი

²⁰ იხ. სქოლიო 14.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ა“ პუნქტი.

²² 01.01.2019-01.01.2020 წწ. პერიოდი.

²³ დ.ზ.

²⁴ დ.ზ.-ს და ადვოკატ გ.კ-ს 2022 წლის 03 მარტის წერილი (უნომრო).

²⁵ გრაფიკით ზიანის ანაზღაურება (შემდგომში გრაფიკი დაზუსტდა, 35,6 ათასი ლარის 2026 წლის 1 სექტემბრამდე უნდა დაიფაროს).

²⁶ საგადახდო დავალება N13079.

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლი, მე-10 პუნქტი „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ (1-21-3000).

ლარიტაა შემცირებული, ხოლო მუხლი „005 კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად“ 1 226,2 ათასი ლარიტაა გაზრდილი.^{28,29}

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო

სამინისტროს მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართი „წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“, 70,0 ათასი ლარით ზედმეტად არის დაფიქსირებული კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით. კერძოდ, დოკუმენტებით დასტურდება 55,9 ათასი ლარის ავტომატური აფასება და 2,0 ათასი ლარის არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების კორექტირებული ცვეთის თანხა, რაც ჯამში შეადგენს 57,9 ლარს, თუმცა ნაცვლად ამისა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თანხა 127,9 ათასი ლარი.

შესაბამისად, 70,0 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი როგორც გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის (033) ასევე ძირითადი აქტივების (008) ნაშთები. მოწოდებული ონფორმაციით უზუსტობა გამოწვეულია იმით, რომ ბალანსზე რიცხული აქტივების რეესტრში ფიქსირდება აქტივების დუბლირებები, რომლებიც არის ძველი პერიოდიდან გადმოტანილი ხარვეზები და საჭიროებს კორექტირებებს.³⁰

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ფინანსთა სამინისტრო;
იძულებით გადაადგილებულ სამინისტრო.

3.4 ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში აფხაზეთის ა/რ-ის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს (შემდგომ – ქონების სააგენტო) მიერ 2022 წელს განხორციელდა როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი შენატანები და დივიდენდების ამოღება-მიმართვა ბიუჯეტში (იხ. ცხრილი N3). მიუხედავად აღნიშნულისა, ქონების სააგენტოს მიერ განხორციელებული როგორც ქონებრივი, ისე ფულადი ტიპის შენატანები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, არც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში.

²⁸ იხ. სქოლიო 22.

²⁹ სსპას 35 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 2, პირველი, მე-2 პუნქტები და მუხლი 6, პუნქტი 1.

საწარმო	ზრდა		გადახდილი დივიდენდები
	რეინვესტირება	ქონებრივი შენატანები	ბიუჯეტში მიმართული თანხა
შპს „აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკა“	25000,00		29007,10
შპს „აფხაზეთიდან იგპ ფოთის პოლიკლინიკა“		8823,86	28801,00
შპს „აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“	10000,00	404,82	6445,00
შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა“	1168,00	880,62	
შპს „აფხაზეთიდან იგპ ჯვრის ამბულატორია“	3758,00	323,86	12387,90
შპს „აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“	426,00		
შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“	11312,00	1289,00	12772,00
შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი - ცხუმი“		323,86	201,71
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - აფხაზეთი“	5958,00	1655,86	
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - ბიჭვინთა“	10000,00	404,82	5280,47
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - დიოსკურია“	13489,00	323,86	
შპს „სენაკის დევნილთა პოლიკლინიკა“	10000,00	323,86	8879,95
ჯამი	91111,00	14754,55	103775,15

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,³¹ საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი,³² რაც სამინისტროს აპარატსა და ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოში არ არის განხორციელებული.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, განსაზღვრულია სსბასს-ების სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებიდან გადახრის საფუძვლები, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სავალდებულო მოთხოვნის შესრულება, ერთეულმა აღნიშნული ფაქტი უნდა გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, შესაბამისი გადახვევის მიზეზის ახსნით. სამინისტროში არ იყო შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა,³³ სადაც ახსნილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრის მიზეზები.

ზემოაღნიშნული მიუთითებს ორგანიზაციებში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესში არასაკმარის კონტროლის მექანიზმებზე, რის შედეგადაც არ არის სრულად წარმოდგენილი ფინანსური აქტივები როგორც სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ასევე აფხაზეთის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

³¹ სსბასს 35 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, მუხლი 10, პუნქტი 46.

³² სსბასს 36 - მე-8 მუხლის - „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ მიხედვით, კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ - მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

³³ აუდიტის ანგარიშის შედეგის მომენტისათვის აღნიშნული საკითხი დარეგულირდა.

3.5 ხარჯები

აუდიტის მიგნება

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტებით და ხაზინის ამონაწერების მიხედვით „საქონელი და მომსახურების ხარჯმა“ შეადგინა 976,8 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში კი ამავე მუხლით ასახულია 999,3 ათასი ლარის ხარჯი. ზედმეტობამ შეადგინა 22,5 ათასი ლარი, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლში ხარჯმა შეადგინა შეადგინა 324,3 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში კი ამავე მუხლით ასახულია 340,9 ათასი ლარი, ზედმეტობამ შეადგინა 16,6 ათასი ლარი.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების კუთხით ზედმეტობითაა ასახული ჯამში – 39,1 ათასი ლარი.³⁴

3.6 მარაგები

აუდიტის მიგნება

იუსტიციის მინისტრის აპარატი

იუსტიციის მინისტრის აპარატის მიერ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია 22,9 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების ნაშთი ფაქტობრივად იყო ექსპლუატაციაში და არ იყო ჩამოწერილი ხარჯებში მოქმედი ინსტრუქციის გათვალისწინებით.³⁵

შესაბამისად, 22,9 ათასი ლარით გაზრდილია იუსტიციის მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ა/რ-ის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მარაგების ღირებულება.³⁶

3.7 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

რიგ სამინისტროებში შენიშვნა N1 „სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

³⁵ იუსტიციის მინისტრის აპარატის 2021 წლის 28 დეკემბრის N80/მს ბრძანებით დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის 86-ე მუხლი.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

განმარტებითი შენიშვნები“, რომლის მიხედვითაც უნდა მომზადებულიყო ფინანსური ანგარიშგება, ძირითადი აქტივები არ იყო ინსტრუქციის^{37,38} მოთხოვნების შესაბამისად ფორმალიზებული და რეკლასიფიცირებული. კერძოდ:

უმაღლესი საბჭო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები არ იყო შევსებული სრულად და არ იყო წარმოდგენილი ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც ითვალისწინებს აღნიშნული ფორმა.

ფინანსთა სამინისტრო

არ იყო განმარტებული წინა პერიოდის შეცდომის გასწორება, მაშინ როდესაც აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში აისახა 30,4 ათასი ლარის წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება.

არ იყო განმარტებული არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენები, მაშინ როდესაც აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში აისახა 53,2 ათასი ლარის კორექტირებები, ერთჯერადი გადაფასების შედეგად.

ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ა(ა)იპ – საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის საოპერაციო იჯარით მიღებული აქვს, ასევე ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ – პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება, რომელიც ა(ა)იპ-ის მიერ აღრიცხული იყო გადასახდელი იჯარის ღირებულებით, თუმცა მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით, იჯარით მიღებული ძირითადი აქტივები აღირიცხება განმარტებითი შენიშვნების საცნობარო მუხლში, აქტივის ღირებულებით.³⁹ მიუხედავად იმისა, რომ იჯარის გამცემი და მიმღები წარმოადგენს აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ/კონტროლირებად ორგანიზაციებს, ა(ა)იპ-ის მიერ იჯარით მიღებული უძრავი ქონების ღირებულება ფინანსთა სამინისტროს, როგორც კონსოლიდირებულ, ასევე აფხაზეთის ნართი კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა შეუსაბამოდ ორჯერ აქვს⁴⁰ ასახული. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს როგორც კონსოლიდირებულ, ასევე აფხაზეთის ნართი კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ნაჩვენები იჯარით მიღებული აქტივების ღირებულება გაზრდილია 18,6 ათასი ლარით.

კომპონენტი, სადაც

გამოვლინდა დარღვევა

³⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 2, პირველი და მე-2 პუნქტები.

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 2, პუნქტი 1.

³⁹ 245,9 ათასი ლარი.

⁴⁰ ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უძრავი ქონება ასახულია როგორც ბალანსზე, ისე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

უმაღლესი საბჭო;
ფინანსთა სამინისტრო.

3.8 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

აუდიტის მიგნება

აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შემოწმებით გამოვლინდა, რომ რიგი ორგანიზაციების⁴¹ ფინანსურ ანგარიშგებებში ინფორმაცია სრულად არ იყო ასახული, კერძოდ:

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო

სამინისტროში აფასებულია 196,4 ათასი ლარის ღირებულების (მათ შორის, 127,9 ათასი ლარის – საბიუჯეტო და 68,4 ათასი ლარის – არასაბიუჯეტო) აქტივები, რომლებიც აღრიცხულია კაპიტალის ცვლილების ფორმაში, თუმცა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში აფასებების დეტალური აღწერილობები არ დაფიქსირებულია.

იუსტიციის მინისტრის აპარატი

2022 წელს განხორციელდა აქტივების აფასება 19,0 ათასი ლარით, რომელიც არ არის დეტალურად გაცხადებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო;
იუსტიციის მინისტრის აპარატი.

⁴¹ 2 (ორი) ორგანიზაცია.

4. აუდიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხები

აუდიტის მიგნება აუდიტის მიმდინარეობისას არსებითი ხასიათის საკითხები არ გათვალისწინებულია.

5. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის საკითხი

აუდიტის მიგნება აუდიტის მიმდინარეობისას კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობები არ დაფიქსირებულა

6. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

აუდიტის მიგნება აფხაზეთის ა/რ-ის ბიუჯეტით განსაზღვრულ რიგ⁴² საბიუჯეტო ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს დადგენილი ინსტრუქციების,^{43,44} მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, რაც იწვევს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მონაცემებთან შეუსაბამობებს. კერძოდ:

უმაღლესი საბჭო

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას აქვს ელექტრონული ბუღალტრული პროგრამა „ორისი“, ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა მანუალურად მემორიალურ ორდერებში. საბუღალტრო გატარებების ბაზა მნიშვნელოვნად არ შეესაბამებოდა ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო

სამინისტროს აპარატი იყენებს ბუღალტრულ პროგრამა „ერთიგონს“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის გატარებები მნიშვნელოვნად არ შეესაბამებოდა ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს.

ფინანსთა სამინისტრო

ორგანიზაცია ბუღალტერიას აწარმოებდა ბუღალტრული პროგრამით, თუმცა არ ხდებოდა საბუღალტრო გატარებები ოპერაციის მოხდენის მომენტში და ყველა გატარება ხორციელდებოდა წლის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების შედგენის წინ.

⁴² 4 (ოთხი) ორგანიზაცია.

⁴³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 2, პუნქტი 1 და მუხლი 4, პუნქტი 2.

⁴⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 2, პუნქტი 1 და მუხლი 5, პუნქტი 3.

იუსტიციის მინისტრის აპარატი

მინისტრის აპარატი სარგებლობს საბუღალტრო ელექტრონული პროგრამით, თუმცა ბუღალტრული გატარებები არ იყო სრულად წარმოდგენილი, რადგან არ წარმოებდა საბუღალტრო გატარებები თანმიმდევრულად ოპერაციის მოხდენის მომენტში. ოპერაციები აისახებოდა ძირითადად წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის წინ და მნიშვნელოვნად არ შეესაბამებოდა ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს.

ზემოაღნიშნულ მიგნებებთან დაკავშირებით წინა აუდიტისას გაცემულ იქნა რეკომენდაცია და მიმდინარეობს შესრულების მონიტორინგი დადგენილ ვადებში.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ფრიდონ დონაძე უფროსი აუდიტორი, აუდიტის ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: Phdonadze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE